„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქიქოძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი აგვისტოს 1-დამ წლის დამლევამდე 4 მ. და 50 კ.

„დროების“ რედაქციისაგან

ოთხშაბათს, ივლისის 25-ს, სერგეი მესხის დასაფლავების წლის თავზედ, გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის მოსახსენებლად. „დროების“ რედაქცია სთხოვს განსვენებულის ნაცნობთა, მეგობართა და მის სახელის პატივის მცემელთა მობძანდენ ამ პანაშვიდზედ ქაშოეთის ეკლესიაში, დილის 11 საათზედ. (3—2)

მოსალოდნელი ბედი ტყეების დაცვის პროექტისა.

თბილისი, ივლისის 24-ს.

პროექტს ტყეების დაცვისას, შედგენილს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან და ამ გაზაფხულზედ ჩვენის სამეურნეო საზოგადოებისაგანაც განხილულს, ბედი მალე გაეხსნება. მკითხველს იქნება დავიწყებული არა ჰქონდეს, რომ ეს პროექტი ჰყოფს ტყეებს ორ კატეგორიად: პირველ კატეგორიაში მოჰყვნენ იმისთანანი, რომელთ დაცვა აუცილებლად საჭირო ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის და რომელნიც უფრო მთიან ალაგებში არიან უხსოვარ დროიდამ ბუნებრივ გაშენებულნი; მეორე კატეგორიას კი იმისთანანი ეკუთვნიან, რომელნიც შეიძლება მათმა პატრონმა დადგინებულ წესისამებრ მოიხმაროს. არა-გულმავიწყს მკითხველს ეხსომება აგრეთვე, რომ ჩვენს სამეურნეო საზოგადოებაში, როდესაც ამ საგანზედ სჯა ასტყდა, ორ-გვარი აზრი წარმოითქვა. უმრავლესობა იმ აზრს დაადგა, რომ მეორე კატეგორიის ტყეებს მთავრობა არ უნდა შეეხოსო და მეპატრონეებს სრული ნება ჰქონდეთ თავიანთ სურვილზედ,—უნდოდეთ გაჰკაფონ, უნდოდეთ გადასწვან და დამშლელი არავინა ჰყავდეთო; უმცირესობა კი ჰფიქრობდა ამ პროექტის გავრცელებას ყველა ტყეებზე.

მთავარ-მმართებლის რჩევაში, საიდაც ეს პროექტი წარსდგა და საიდამაც იგი უნდა სამინისტროში გაიგზავნოს, უმცირესობის გარდაწყვეტილება უფრო მოსწონებიათ შემდეგის მოსაზრების ძალით: თუ პირველშივე ყველა ტყეების აჩეხა არ აღიკრძალა და გამოცხადდა, რომ იგინი ორ კატეგორიად დაიყოფებიან, პატრონები იგრძნობენ, რომ შემდეგში დიდი შევიწროება მოელით და ეცდებიან, ვიდრე მთელის ჩვენის მხარის ტყეები კატეგორიებად დაიყოფოდენ, რასაც კარგა დრო მოუნდება, ნახევარ ფასად მოაჰრევინონ თავიანთი ტყეები სხვა-და-სხვა ექსპლოატატორებს; ესენიც, რასაკვირველია, ამ გვარ შემთხვევისათვის ცულ-ხერხ-გალესილები მზად იდგებიან.

ის ოფიციალური წყარო, საიდამაც ეს ცნობები ამოგვაქვს, პირდაპირ არ ამბობს, თუ შემდეგისათვის რასა ჰფიქრობს მთავარ-მმართებლის რჩევა, ესე იგი იმ დროისათვის, როდესაც კავკასიის ყველა ტყეები ხსენებულ ორ კატეგორიად იქნებიან დაყოფილები, მაგრამ ნათქვამიდამ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ რჩევას სრულებითაც არა სწადიან შემავიწროებელნი საშუალებანი სამუდამოდ იყვნენ გავრცელებულნი ყველა ტყეების პატრონების შესახებ. ეს საჭირო იქნება მხოლოდ პირველში, ვიდრე საქმე გამოირკვეოდეს, მხოლოდ იმისათვის, რომ დაშინებულმა მემამულეებმა ბრალიანად და უბრალოდ არ დაუწყონ უწყალოდ ტყეებს ჩეხა. მეორე ეს ძნელად მოსალოდნელიც არ არის: თითონ ჩვენს გაზეთშივე ამოიკითხავდით რამდენსამე მაგალითს იმისას, თუ როგორ ხელ-გაუნძრევლად უცვივდებათ ხელში სხვა-და-სხვა უცხოქვეყნელებს ჩვენი გაუვალი ტყეები, რომელთ გაშენებისათვის ბუნებას ათასი მეტი წელიწადი უზრუნია და ეხლა რომელიმე თავის-ნება მეპატრონის სიტყვაზედ ორ-სამ წელიწადში ეს ათასი წლის შრომა უნდა მტვრად და კვამლად იქცეს.

რაკი ერთბაშად ყველა ტყეებზედ გავრცელდება აღკრძალვითი კანონი და მასუკან შეუდგებიან ორ კატეგორიად დაყოფას, უეჭველია, დაყოფის შემდეგ მეორე კატეგორიის ტყეები განთავისუფლდებიან მთავრობის ზედამხედველობისაგან და ეს ზედამხედველობა დარჩება მხოლოდ პირველ კატეგორიისაზედ.

ასე იქნება თუ ისე, სასურველია, რომ ხსენებული პროექტი იმავე სიჩქარით გადაიდეს სამინისტროში და სიჩქარითვე მიღებულ იქმნას და გავრცელებულ ჩვენს ქვეყანაშიაც, რა სიჩქარითაც სამეურნეო საზოგადოებიდამ მთავარ-მართებლის რჩევაში გადაიდა; თორემ, თუ მოგვიანდა, შეიძლება რჩევის შიში შესახებ მეპატრონეებისაგან, აღკრძალვის მოლოდინში, ტყეების გაკაფვისა საფუძვლიანი გამოდგეს და ვიდრე დამტკიცებული კანონი გვეღირსებოდეს, პატრონებმა თავიანთ ტყეებს ერთ წელიწადში იმდენი ზარალი მისცენ, რასაც ჩვეულებრივად ათი წელიწადი ვერ მისცემდენ.

შინაური ქრონიკა.

— ჩვენი საზოგადოება მეტად ცნობის-მოყვარეობს და უნდა შეიტყოს, თუ რა შემოსავალი, ან გასავალი აქვს იმ მამულს, რომელიც თბილისის სათავად-აზნაურო ბანკს დარჩა ბ. არწრუნისაგან, ან ბანკი ზარალშია თუ მოგებაში. რადგან აქაურ გაზეთებშიაც ამ საგანზედ შემცდარი ცნობები იყო გამოცხადებული, ამიტომ საჭიროდ ვხადით ვაცნობოთ მკითხველებს სრული გარემოება ამ საქმისა.

ბანკს დარჩა ქარვასლა სასახლის ქუჩაზედ და ჩინებული ბალი და სახლები ფრეილინის ქუჩაზედ. ეს მამული სრულებით ერთიანია და ორის ხსენებული ქუჩის შუა სძევს. სივრცე აქვს სულ 2700 კვადრ. საჟენზე მეტი. ამ სამის წლის წინად ამ მამულში მიცემულია 460,000 მანათი გირავნობის ფურცლებით, რომელშიაც უნდა მამულმა იხადოს ყოველ წლივ 41.000 მანათი თავნში და სარგებელში ოც-და-შვიდი წლისა და ნახევრის განმავლობაში. თითონ ქარვასლა ძალიან მკვიდრი შენობაა და მასში 161 ნომერია, ზოგი მაღაზია, ზოგი საწყობი, ზოგი პატარა დუქანი. ამ ჟამად დაჭერილ ნომრებში ბანკი იღებს წელიწადში 34.390 მანათს გარდა თეატრისა, რომელსაც წელიწადში შემოაქვს ხარჯს გარდა 1500—2000 მანათამდე. ამ შემოსავალს გარდა უნდა ვიანგარიშოთ ბალისა და სახლის შემოსავალი, რომელიც ჯერ ცნობილი არა არის, რამდენი იქნება, რადგან არც ერთი და არც მეორე არას დროს გაქირავებული არ ყოფილა, რადგან თვით პატრონს ეჭირა. ამას გარდა, რაც დაუჭერელი ნომრებია ქარვასლაში, იქიდამ შეიძლება შემოვიდეს წელიწადში 8000 მანათზე მეტი. ერთის სიტყვით, ყველაფერი რომ ვიანგარიშოთ, ბანკს წელიწადში ქარვასლიდამ, ბალიდამ და სახლებიდამ, სულ მცირე, 40000 მანათზე ნაკლები არ შემოუვა. მაშასადამე ბანკმა ყოველ წლივ, დანარჩენ 24 წლის განმავლობაში, თავისი უნდა 1000 მანათი დააყაროს წლიურ გარდასახადს. ამის გარდა, ბანკს დასჭირდება ყოველ წლივ დამატება: 2500 მანათამდე დაზღვევისა; 2500 მანათამდე ქალაქის გარდასახადი, 1000 მან. გაზისა, 1500 მან. განსაგებელი, 2000 მან. რემონტისა. სულ რომ ბევრი ვიანგარიშოთ ამ 24 წელიწადს ბანკმა ყოველ წლივ უნდა გამოირიცხოს თავის ნაღდი მოგებიდამ 10000—12000 მანათამდე. ეს, რასაკვირველია, სამძიმოა კერძო კაცისათვის, მაგრამ ბანკისათვის შესამჩნევიც არ არის, თუნდაც რომ ამას მივათვალოთ ის ერთბაშში ხარჯი, რომელიც ეხლა მოსდის ბანკს და აღის 60.000 მანათამდე. ბანკს ყოველ წლივ წმინდა მოგება აქვს, სულ მცირე, 100,000 მანათამდე და აქედამ 24 წელიწადს თუნდ 12000 მანათი გამოირიცხოს ყოველ წლივ, მაინც დასანანი არის, რაკი ამ ხნის შემდეგ თითქმის მილიონად ღირებული მამული სამუდამოდ დარჩება. ამას გარდა, შეიძლება ბანკი სხვაფრივაც მოიქცეს: გირავნობის ფურცლები ნაწილ-ნაწილად შეისყიდოს და 24 წელიწადი 12-ამდე ან 10-მდე შეამოკლოს. ერთის სიტყვით, რა მხრითაც უნდა შევხედოთ ამ საქმეს, მაინც ბანკისაგან ამისთანა ქონების შეძენა შიგ შუა ქალაქში თავის თეატრით, წყალით, გაზით და სხვა ყოველგვარი მოწყობილობით საზარალო არ არის.

— თავად რაფ. ერისთავის რედაქტორობით გათავდა ბეჭდვა საბა ორბელიანის ლექსიკონისა და ამ ცოტას ხანში გამოვა. ეხლა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს ლექსიკონი სწორედ საჭირო იყო ჩვენის საზოგადოებისათვის და ბ. ერისთავმა მის რედაქციას საკმაო შრომა დასდო. ლექსიკონის ღირსებაზედ და ნაკლულოვანობაზედ-კი წიგნის გამოსვლის შემდეგ მოვილაპარაკებთ.

— თამამშოვის ქარვასლის ერთის მხრიდამ საშინელი მძიმე სუნი ამოდის და ჰაერსა სწამლავს. იქამდის აწუხებს ეს სუნი გამვლელ-გამომვლელებს, რომ კაცს სული ველარ მოუქცევია. ყველა ამ გვარი შემთხვევა, დიდიხანია დამტკიცებულია, რომ სხვა-და-სხვა გვარის სენის გაჩენას ხელს უწყობს; ამის გამო სისუფთავეს ყველგან განსაკუთრებით თვალყურს ადევნებენ და ჩვენში-კი, სადაც ამ მხრით ყველა ხალხზედ მეტი მხნეობის გამოჩენა გვმართებს, სრულიად უდარდელადა ვართ. რას აკეთებს ქალაქის გამგეობა, ან კიდევ ის პირნი, ვისი

მოვალეობაც არის ქალაქის სისუფთავეს თვალყური ადევნონ?

== იმერეთიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ იქ საშინელი გვალვა და სიცხეები დგასო. ტფილისის სიცხე უფრო მცირეა იქაურ სიცხესთან შედარებითაო. ეს გვალვა ჭირნახულს და საზოგადოდ მოსავალს უეჭველად ავნებს, თუ ჩქარა ნამი არსაიდამ არ გაჩნდაო.

== ფრანცუზი მურიე უკვე ჩვენ საქართველოში მოგზაურობს. ამას წინად ის ყოფილა გორის მაზრაში და სოფ. რუისში დაუთვალიერებია ეკლესია. მურიეს თან ჰყავს ფოტოგრაფი, რომელიც შესანიშნავის ეკლესიებისა და ბუნების სურათებს ჰხატავს თურმე მისთვის.

== ივლისის 14-ს, «ახ. მიმოხილვის» სიტყვით, ვარანცოვის ძეგლს ახლო ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწეს რ. თავის თავად განუსამართლებია საქვეყნოდ «კონკის» კონდუქტორი და კუჩერი. ეს გარემოება ასე მომხდარა: რ. ჯდებოდა თურმე ვაგონში, ფეხი დაუცდა და იტკინა. ძეგლთან რომ მოვიდა „კონკა“, რ. ეცა კუჩერს და დაუწყო ცემა და ლანძღვა, ვაგონი რატომ არ დააყენეო. კონდუქტორმა სთხოვა დამშვიდებულიყო, მაგრამ იმას ამოუღია ხმალი, სცემია კიდევ კუჩერს და კონდუქტორიც თან მიუყოლებია; ხალხისა და პოლიციის წყალობით ესეთი უწესოება მოსპობილ იქმნა ქუჩაზე, მაგრამ სამაზრო სამმართველოს ოთახებში კიდევ გაგრძელებულიყო, რადგან იქ მისულიყო კონდუქტორი რ—ს ადრესის შესატყობად. ბოლოს, როგორც იყო, დაეწყნარებინათ ბრაზ-მორეული „წესიერების დამცველი“. რ—ს საქმე სასამართლოში გადაცემულიო.

== ღ. ორპირიდამ გვწერენ: «აგერ ერთი თვეა, რაც ჩვენში ყვავილი შემცირდა. ამ ჟამად ერთის მეტი არავინ არის ამ სენით ავადმყოფი, მაგრამ, სამწუხაროდ, ციებ-ცხელება ზაფხულობით ხშირი სტუმარია ორპირისა, ზოგს მთელს ზამთარშიაც შეჰყვება ხოლმე. მიზეზი ამისა ის არის, რომ ყველა მოვაჭრენი ბინძურ ცხოვრებას მიეჩვიენ, განსაკუთრებით ყასბები. ასე წარმოიდგინეთ, თავიანთ დუქნების წინ ჰხოცვენ საკლავებს, რისა გამოც გამვლელი ადამიანი იძულებულია ცხვირს ხელი იტაცოს და ისე გაიაროს; ამას გარდა მთელი ბაზარი ნეხვით სავსეა, დუქნების ნაგავს იქვე გზაზე ჰყრიან, სადაც გამვლელს მეტისმეტი ბინძური სურათი წარმოუდგება თვალწინ. ქურდობაც კი ხშირდება: აქ ამას წინად გატეხეს ხარაზის დუქანი, საიდამაც გაიტანეს ფული და სახარაზო მასალები. წელს ტრაკტირები შემოიღეს, სადაც ყოველ ჟამ—დღე და ღამე—განუწყვეტლივ ატარებენ ბანქოს და ლოტოს თამაშში. სასაცილო რამ არის, როცა წააგებს ვინმე და ფულის საშოვრად აგირავებს ხანჯალს, ქამარს, ბაშლიყს და სხვა რამეს, თუ მოეძევება. რა გასაკვირველი იქნება ამის შემდეგ, რომ ასეთმა ფულის მაძებარმა პირმა ქურდობასაც კი მიჰყოს ხელი»...

== ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ქალაქში წყლის გასაყვანად ქალაქმა მიმართა ვენის საქალაქო ინჟენერს მიგაჩს და სთხოვა ტფილისში ჩამოსულიყო. ახლა ამას უნდა დავუმატოთ, რომ ქალაქის გამგეობას, მიგაჩის უარის გამო, მიუმართავს ამ გვარივე თხოვნით გამოჩენილ საფრანგეთის ინჟინერებისათვის: მსკოლესა და არისტიდ დიუმონისათვის. («ახ. მიმოხ.»)

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

«კავკაზის» 159 ნომერში იყო დაბეჭდილი შენიშვნა დიდუბის ეკლესიაზედ და იმ შენიშვნის ბოლო სტრიქონებში შენიშვნის ავტორი ლაპარაკობდა სანთლის გასყიდვის უწესოებაზედ. რადგანაც ესრეთი უწესოება მე შემეხება, ვითარცა იქაურის წესიერების დამცველსა, ამისთვის ვუმორჩილესად გთხოვთ ეს მცირედი სიმართლის აღსადგენი სტრიქონები დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში, საიდგანაც ვსთხოვ გადაბეჭდოს «კავკაზის» რედაქციამაც.

სხვათა შორის აი რასა სწერს პატივცემული ავტორი: „ურჩევთო სამღვდელო-მსახურთა იმა ეკლესიისასაო, რომ სანთლის განსყიდვა იყოს იქ კანონიერადაო; ხან დედა-კაცი ჰყიდის სანთელსა და ხან მამა-კაციო; ორნივენი მოკლებულ არიან რუსულის ენის ცოდნასაო, ხშირად ართმევენ ხუთ გროშიან სანთელში შაურსა და ორ შაურსაცაო და ხურდასაც აღარ აძლევენო“.

ჩვენგან პატივცემულს ავტორს გულითადს მადლობას შევსწირავთ „რჩევისათვის“. რომ სამთლის განმსყიდველთ რუსული ენა არ იციან,—ეგ მართალია; მაგრამ სანთლის ფასები კი კარგად იციან და თვით ჩვენც არ მივუშვებთ იმისთანა პირსა, რომელსაც არ ესმის სანთლის ფასები, ამიტომ სრული სიცრუვე და ცილის-წამება გახლავს, ვითომ ხუთ-გროშიან სანთელს შაურადა და ორ შაურად, თავიანთ ნებით, ჰყიდიან მლოცველთადმი და ხურდასაც არ აძლევენ და აი რად არის სიცრუვე: ჯერ ერთი, რომ ჩვენმა ქალაქის ერმა ყველამ კარგად იცის, რა ფასის სანთლები არის, ხანდის-ხან თვით მლოცავი იღებს სამთელსა და უკითხავად სდებს იმ ფასსა, რაცა ღირს; მეორედ—რომელი მსყიდველი მოუთმენს გამსყიდველსა, რომ ორ შაურად ხუთ გროშიანი სანთელი მისცეს, ხოლო რომ ხურდა არ დაუბრუნონ მსყიდველს, სრულიად შეუძლებელია, რადგან ამას არც ერთი მლოცველი არ დასთმობს.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სწორედ ისეც ყოფილიყო, როგორც ავტორი ბრძანებს, წარმოიდგინეთ, რომ შაურად მხოლოდ სამ კაპეიკიან სანთელს აძლევენ მლოცველს და მცირე ხურდასაც არ უბრუნებენ, ეს ხომ ჩვენის განკარგულებით უნდა მომხდარიყო და არა სანთლის მყიდველთა ნებით. ხოლო ჩვენ განკარგულებას თავისი საბუთიც ექმნებოდა: სანთლის ფულით აშენდა ის ეკლესია, რომელიც დღეს ატკბობს ყველას, აშენდა იქ, საცა კენჭიც არ მოიძებნებოდა. მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ სანთელი სწორედ ისე იყიდებოდა, როგორც ეხლა ქალაქის ეკლესიებში, არც მეტად არც ნაკლებად.

მ. ზ. ზედგინიძე.

უცხოეთი.

ეგვიპტე. ამ დღეებში დაბრუნებულა ეგვიპტიდამ ბერლინში ბ. შვეინფურტი, რომელიც შუა ნილოსის მახლობელ ადგილებში მოგზაურობდა მეცნიერულის აზრით.

ბ. შვეინფურტს თავის გამოკვლევიდამ ის დასკვნა გამოუყვანია, რომ მაჰდის მნიშვნელობა მეტის-მეტად გაზვიადებულია. იმის სიტყვით, მაჰდის მიერ აღძრულს ფანატიკურს მოძრაობას არავითარი შედეგი არ ექნება, თუ გინდ ინგლისმა თავის ჯარები არც კი გაიყვანოს მის საწინააღმდეგოდაო. აჯანყება იმ მაზრებს არა სცილდება, რომლებშიაც იწყობა და სხვაგან არსად არა ვრცელდებაო. აჯანყების კერძო ცენტრთა შორის არ არსებობს არავითარი განწყობილი კავშირი. მართალია, თემნი, სოფლები, თითქმის ქალაქებიც კი ემხრობიან აჯანყების საქმეს, მაგრამ იქვე ჰქრება აჯანყება და სხვა ადგილებს, სხვა სოფლებს აღარ ედება. ტყუილია, ვითომ რაიმე ორგანიზაცია სუფევდეს ცრუ-წინასწარმეტყველის მომხრეთა შორის. ის, ვინც რამდენადმე იცის ეგვიპტის ტერიტორიული და ეთნოგრაფიული პირობანი, რასაკვირველია, არ ერწმუნება, ვითომც მაჰდის შეძლოს ზემო ეგვიპტეში შემოსევა 20,000 ანუ 30,000 კაცით. ამ ჯარის მოძრაობას, სხვა არა იყოს-რა, დააბრკოლებს სატარებელ საშუალებათა უქონლობა. უწყლო ადგილებში, სადაც დიდს მანძილზე ერთი წყაროდამ მეორემდინ წყალი თვით მგზავრმა უნდა ატაროს თან, ასე დიდ-ძალი ჯარის სატარებლად საჭიროა ბევრი აქლემები, ანუ სხვა რომელიმე ბარგის მატარებელი პირუტყვი, და ადგილობრივ, ნახევრად დამშრალს წყაროებში იმდენი წყალიც არ იქნება, რომ ათასს კაცს და ცხენს ეყოსო.

ინგლისელების ფიქრი, ვითომც ეგვიპტეს სუდანის მხრივ რაიმე საშიშროება მოელოდეს, შვეინფურტის აზრით, გამოწვეულია პოლიტიკური მოსაზრებით ან სამხედრო პატივმოყვარეობის აზრით. ის ხმებიც, ვითომც აჯანყების საქმე კარგად მიდიოდეს, უსაქმურ და მოცლილ პირთა ფანტაზიაა. მართალია, მუსულმანურს სამღრთო-მსახურებაში არის ლოცვა შესახებ ისლამის გაძლიერებისა და გავრცელებისა და ურწმუნოთა შემუსვრისა, მაგრამ ეს ლოცვა ძველადვე დარჩენილი და ეხლა არავითარი ძალა არა აქვსო. შვეინფურტს 5,000 კაცი, რომელიც ინგლისსა ჰყავს ეგვიპტეში, სრულიად საკმაოდ მიაჩნია ინგლისის სახელის და პატიოსნების დასაცველად. ის დარწმუნებულია, რომ სუდანის აჯანყება თითონვე მოისპობა ისე, რომ მისი კვალიც აღარსად დარჩეს. როცა იქნება აჯანყების ამყოლთ ხალისი გადუვლის და სრულიად მიატოვებენ ამ საქმესაო,—ამბობს ბოლოს შვეინფურტი.

საფრანგეთი. უკანასკნელად მიღებული გაზეთებიდგან ვტყობულობთ, რომ ხოლერა პარიჟშიაც გაჩენილა. როგორც ტულონში, აქაც ხოლერით სიკვდილის პირველნი შემთხვევანი, ოფიციოზური ორგანების სიტყვით, სპორადიული ხოლერისანი ყოფილან. ამის შესახებ ერთ ფრანცუზულს გაზეთში ივლისის 22 (ახ. სტ.) იწერებიან შემდეგს: „გუშინდელს აქედ პარიჟში ორი შემთხვევა იყო ხოლერით ავად-გახდომისა და ორივენი სიკვდილით დაბოლოვდენ. იმსხვერპლა—ერთი 18 წლის გასათხოვარი ქალი და ერთიც დურგალი. ექიმებმა შეამოწმეს, რომ ავადმყოფობა, რომლისაგანაც ესენი დაიხოცნენ არის, სპორადიული ხოლერა. ამ შემთხვევათ გარდა, სხვა შემთხვევებიც ყოფილა ხოლერით ავად-გახდომისა, მაგრამ ადვილად მორჩენილან ავად გამხდარნი“.

—ივლისის 22-ს, სენატის სხდომაზე, სენატორს შარტონს წინადადება შეუტანია, რომ გილიოტინა გაუქმდეს. წინადადების საბუთად ხსენებულს სენატორს შემდეგი გარემოება მოჰყავს: „უქმდება მე-12 მუხლი სისხლის სამართლის კოდექსისა, რომელიც ამბობს: „ვისაც სიკვდილით დასჯას უწყვეტენ, იმას თავსა სჭრიან. და კაცის სხეულის დამახინჯების ნაცვლად, ვიდრემდის სიკვდილით დასჯა სრულიად გაუქმდებოდეს, უნდა შემოიღონ იმისთანა რამ ფიზიკური ანუ ქიმიური საშუალება, რომლითაც დასჯილს ერთბაშად მოესპობა სიცოცხლე“.

ესპანია. მადრიდიდგან იწერებიან გაზეთებში, რომ ესპანიის მეფესა და დედოფლისათვის შეურაცხება მიუყენებია ხალხს. ამას წინად ისინი ხარების ჰიდაობას დაესწრნენ და ამ დროს ხალხმა შტვენა თურმე დაუწყო მათ. ეს მტრული დემონსტრაცია, როგორც ამბობენ, გამოუწვევია იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოებას, რომ მეფეს არ შეუწყალებია და დაუხვრეტინებია ორი ოფიცერი, რომელნიც უკანასკნელს ამბოხებაში რეულან.

ფლიუერი ანგარიში

სოფ. წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლისა 18$^{83}/_{84}$ წლისა.

სწავლა დაიწყო სასწავლებელში ხუთს სექტემბერს 1883 წელსა და გაგრძელდა ოც-და სამ თიბათვემდე ამა წლისა. ოც-და-სამს და ოც-და-ოთხს ამა თვისას იყო გამოცდა სახალხოდ მოსწავლეთა ყოველ საგნებში. 23 დაესწრენ გამოცდაში პედაგოგები, მოწვეულნი ქალაქიდამ; ოც-და-ოთხს კი დედ-მამანი შაგირდებისა, იმათი ნათესავნი ორივე სქესისა, თავად-აზნაურნი და გლეხნი. გამოცდამ აღმოაჩინა, რომ მოსწავლენი ღირსნი არიან გადასვლისა მეორე განყოფილებაში.

სკოლაში წარსულს წელს იყვნენ მიღებულნი ოც-და-ორი ყმაწვილი (ორი თავადი, სამი აზნაური და ჩვიდმეტი გლეხ-კაცის შვილები). ამ რიცხვიდგან მოაკლდა სკოლას უწინარეს ეგზამენისა (გამოცდისა) ერთი შაგირდი. ამისმა მამამ მცხეთელმა მამულაშვილმა, აღარ ისურვა ფასის მიცემა შესანახავისა იმ გლეხისთვი, ვის სახლობაშიაც იმის შვილს ბინა ჰქონდა. სამი მოსწავლე ავადმყოფობით მოაკლდა სწავლას და დარჩა იმავე განყოფილებაში ხელ-მეორედ გასავლელად წლევანდელის კურსისა. დანაშთენნი თერამეტნი მოსწავლენი გადავიდენ მეორე განყოფილებაში.

როდესაც ეგზამენები დასრულდა, მღვდელმა ბ. ასათიანმა გადიხადა პარაკლისი სკოლაში და, დასასრულ, უთხრა მოსწავლეთ შემდეგი სიტყვა:

«მომილოცავს, ჩემო პაწაწა მოწაფენო და მეგობარნო, თქვენი პირველი ნაბიჯის გადადგმა სწავლის საქმეში. თქვენი კარგის სწავლით და ყოფაქცევით ღირსნი გახდით მეორე განყოფილებაში გადასვლისა. თქვენ ეხლა მიდიხართ თქვენს საყვარელ დედ-მამასთან, რომელნიც სიხარულით მიგელიან. რამდენიც მიახლოვდებით სახლს, იმდენად გული პატარა მკერდში მოუთმენლად ბაგა-ბუგს დაგიწყებთ სიხარულისაგან. თქვენ ეხლა სწორედ მიზეზიცა გაქვთ სიხარულისა, ამიტომ რომ კარგად სწავლობდით და დედ-მამის იმედი არ გაამტყუნეთ. ნახავთ თუ არა დედ-მამას, მაშინათვე უნდა მოგაგონდეთ სწავლის შემდეგი ლოცვა, რომელსაც ყოველ-დღე იმეორებდით: «აღვიზარდნეთ მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ». თქვენი დედ-მამაც, რომ შეიტყობს თქვენს კარგს სწავლას, სიხარულით იტყვის: «მადლობა შენდა ღმერთო! ეხლა აღარა გვიშავს-რა,— რადგანაც ჩვენი შვილი კარგი ბიჭი გამოვა—სიბერის დროს უნუგეშოდ აღარ დავრჩებით».

რო კარგად არ გესწავლათ, ვეღარც თქვენ წახვიდოდით აგრე სიხარულით და ვერც დედ-მამა მიგიღებდათ სიხარულით; ორნივ ერთმანეთს გაბუტებულივით შეხვდებოდით.

ამასთან ნუ დაგავიწყდებათ, ჩემნო საყვარელნო შვილნო, რომ თქვენ ამ სკოლიდან უნდა გამოხვიდეთ მცოდნე, მხნე მუშა კაცები და თქვენის ოფლით ლუკმა პური სჭამოთ. იცით, როგორი ბედნიერია ის კაცი, რომელიც თავის ოფლით და მხნეობით ალალ ლუკმასა სჭამს? ხომ გახსოვთ, ღმერთმა ადამს რო უთხრა: „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო“? თქვენც თქვენის ოფლით უნდა იცხოვროთ და არა უსამართლოდ სხვას წაართვათ რამე, როგორც სჩადიან, ვინც მუშაობა არ იცის და ზარმაცია. თქვენი სკოლა ცდილობს, რომ თქვენ გასწავლოთ კარგა მამულის შემუშავება, რო თავი არ დაანებოთ თქვენს ოჯახს და მამულს, სოფლის მაწანწალებად არ გახდეთ და ხალხი არ ატყუოთ, როგოც ამას სჩადიან მრავალნი სოფლის სკოლებიდან გამოსულნი. ზოგიერთა უქკუო კაცებს სოფლის მწერლობა და სხვის ოფლით ცხოვრება დიდ სახელად მიაჩნია. არა, შვილებო! სხვის ოფლით ცხოვრება დიდი ცოდვაა. ღმერთმა ნუ ჰქნას, რო ამ წმინდა ტაძარში აღიზარდენ მაგისთანა მამულის შვილები! ამ სკოლის დამაარსებელთ იცოდენ, რომ ჩვენს ქვეყანას ეჭირებოდა კარგი გონიერი, მცოდნე, მშრომელი და მუშა ხალხი და იმისთვის გახსნეს სამეურნეო სკოლა. მე მიხარიან, რომ თქვენში ვხედავ თავადსაც, აზნაურსაც და გლეხსაც. მადლობა ღმერთს, ეტყობა, ზოგიერთმა მაინც გაიგო მუშაობის ყადრი და ცდილობენ ისწავლონ თავიანთ მამულის რიგიანად გაკეთება და მოვლა.

ეხლა თქვენ მიდიხართ, თქვენი პაწაწინა ხელების ნამუშავარს ბოსტნეულობას და მოყვანილ ხეხილებს ვის უტოვებთ? ხო ვიცი,—თქვენი სული და გული აქვე რჩება. რამდენჯერ მოგაგონდებათ თქვენი დათესილი კვლები, სხვა-და-სხვა მცენარეებით სავსე. ნუ გეშინიანთ, ჩვენ არას წაგიხდენთ; რომელნიც აქა რჩებიან თქვენგანნი, ისინი მოუვლიან.

თქვენ წადით და სთხოვეთ ღმერთსა, მოგცეთ ძალი და სიმხნე, რომ ახლად შეუდგეთ სწავლასა ამას, ამინ».

ამის შემდეგ, სკოლის მზრუნველმა წაიკითხა გარდაყვანილების სია, მიულოცა და დაურიგა ყველას საჩუქრად ყმაწვილების წასაკითხი წიგნი «ალი» და თვითო ბლუზა (პერანგი). რომ საგურამოს მხრის ჰაერს ენება არ მიეცა, შეუჩვეერობისაგამო, შაგირდებისთვის, რომელნიც იყვნენ მოყვანილნი სკოლაში მცხეთიდგან, ქაიშაურიდგან და სხვა სოფლებიდგან,— ეს შეგირდები სკოლის კრებამ დაითხოვა შინ ორის თვით.

სწავლა სამეურნეო სკოლაში მიდიოდა მთელი წლის განმავლობაში დამტკიცებულის მმართებლობისაგან სამოსწავლო გეგმის (პროგრამის) თანხმად.

საღმრთო სჯულიდან.

ა) მაჩენა პირველის კაცისა ქვეყანაზედ.

ბ) სამოთხე და მასში ცხოვრება ადამიანებისა.

გ) შეცოდება პირველის კაცისა; აღთქმა მაცხოვრისა.

დ) დაბადება ყოვლად წმინდისა მარიამისა.

ე) ახსნა ხარების სურათისა.

ვ) დაბადება ქრისტესი.

ზ) ნათლისღება ქრისტესი.

ს) ტაძრად მისვლა იერუსალიმში მაცხოვრისა.

თ) ახსნა ჯვარცმის სურათისა.

ი) აღდგომა ქრისტესი.

კ) ამაღლება ქრისტესი.

ლ) სულის წმიდის მოსვლა.

მ) პოვნა პატიოსნისა ჯვარისა და მისი ამაღლება.

ლოცვები.

ა) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ.

ბ) ლოცვა იესო ქრისტესადმი, უფალო (იესო ქრისტე).

გ) წმიდაო ღმერთო.

დ) ლოცვა სწავლის წინად.

ე) ლოცვა სწავლის შემდეგ.

ვ) ლოცვა საღილის წინად.

ზ) ლოცვა საღილის შემდეგ.

ს) უფლის ლოცვა.

ბ) ქართული ენა. ყველა მოსწავლემ ანალიტიკურ-სინტეტიურის რიგით შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, კითხულობენ თავისუფლად და სწერენ, იციან მრავალი გამოცანები, ანდაზები, ლექსები და არაკები ზეპირად. შეუძლიანთ წაკითხულის გადმოცემა რიგიანის, ქართულის ენით, როგორც სიტყვით, ეგრეთვე წერით. სახელმძღვანელოდ იხმარებოდა «დედა ენა», რომლიდამაც გაიარეს 128 გვერდი.

გ) დაბვირვებითი სწავლა. მოსწავლეთ იციან სახელები იმ საგნებისა, რომელნიც ახვევიან მათ გარს, სახლში და სკოლაში, იციან იმათი აწერა და შედარება. იციან უმეტესად იმ ცხოველების და ფრინველების სახელები, რომელნიც არიან კავკაზიაში, მათი ზნე და ცხოვრება, იციან მწერები და მათგან მოტანილი ენება და სარგებლობა ადამიანისათვის, იციან ბოსტნისა და უბრალო მცენარეები: ხეები უბრალო და ხეხილისა, კიდევ იციან ლითონები და ქვები უბრალო და ძვირფასები; წელიწადის დრონი და ჩვენი ქვეყნის მხარეები.

სახელმძღვანელოდ ჰქონდათ დისტერვეგის წიგნი, ოგბლონსკის სურათები „ბეეყანა სურათებით“ და შუბერტის ცხოველებისა და ბოტანიკური ატლასები

დ) არითმეტიკა. უმაწვილებმა ყოველის მხრით შეისწავლეს თვლა 1—20 – მეტუშევსკის დადგენილის წესით. ჰხსნიდენ არითმეტიკულ გამოცანებს ყოველ რიცხვზედ და ეარეკვნენ ზეპირ-ლედ დანაწევრება.

ე) ხატვა და ხაზვა. ხატავდენ სხვა-და სხვა საგნების სახეებს სწორის და მრუდის ხაზებით ბადეებში და უბადოდ; სხვათა შორის ხატავდენ მიწის შესამუშავებელ იარაღებს. სახელმძღვანელოდ იხმარებოდა ძონდრატენკოს და საკოვნინის სახატავები.

ვ) გალობა. უმაწვილებმა შეისწავლეს ოკტომბრის ადგილობრივი სახალხო ბავშვების სიმღერები და მთელი ოქროპირის წირვის გალობა, გარდა ხერუბიმისა და მრწამსისა. გალობენ ეკლესიაშიც.

ზ) რუსული ენა. რუსული ენა ისწავლებოდა ლექსიკურად იანვრის 12-დამ. შეისწავლეს ასამდის სიტყვები და ადგენენ წინადადებებს ორის ან სამის სიტყვიდან.

ს) სასოფლო მეურნეობა. უმაწვილები უმეტეს ნაწილად იყვნენ გართულნი მიწის მომზადებაში ახალშენისათვის და კიდეც გადაბარეს ერთი მეოთხედი დღიურისა ერთის არშინის სიღრმეზედ; გაზაფხულზედ გააკეთეს პატარა ბოსტანი და ახალ-შენი, დათესეს სხვა-და-სხვა მცენარეების თესლი; მოვიდა ყველაფერი კარგად და ყმაწვილებმა იწყეს მათი მოვლა. ზამთარში, როდესაც ავდარი ნებას არ აძლევდა ემუშავენათ მინდვრად, კლასში სწავლობდენ წიგნების ყდებში ჩასმას და კიდეც მოამზადეს ოკტომბრის წიგნი საყდოდ. ამას გარდა, ფერმერი უხსნიდა მათ ნიადაგის სხვა-დასხვა გვაროობას და მისს სხვა-და-სხვა გვარად მომზადებას და გაპოხიერებას, უხსნიდა ადგილის შერჩევას ბოსტნისათვის; წყლის გაყვანას და მორწყვას ბოსტნისას და მის შემოზღუდვას სხვა-და სხვა გვარის ლობით, ბოსტნის დაყოფას ნაწილ ნაწილად; ბოსტნეული მცენარების ჩამოთვლას და იმათ რიგ-რიგზედ დაყოფას; თესლის მოკრეფას და შენახვას; სათესლე კვლების სხვა-და-სხვა გვარად დაკვალვას; ხეხილებისთვის მალამოს გაკეთებას და მის მოვლას; ახალ ამოსული ხეხილების გადარგვას; ახალ-შენის ხეხილების მყნობას ყლორტით და კოკრით; გამრავლებას ხეხილისას რქით, თესლით და გადაწვენით; მიწის გაპოხიერებას სასუქით; სასუქის დაყოფას: თბილ, ცხელ და გრილ სასუქებად; კომბოსტოს და სხვა მცენარეების დათესვას, მოყვანას და შენახვას ზამთრისათვის.

(დასასრული ხვალ)

ტელეგრამები

(„ბრდიოლოგიას სააგენტოსი“)

ივლისის 22

ჰეტერბურგი. დღეს ხელმწიფე იმპერატრიცის დაბადების დღეს ასწაულის გამო, ქალაქი მორთულია დროშებით; ეკლესიებში პარაკლისს ხდილობენ; სასახლეში მიღება არ არის.

პარიჟი. გუშინ მოკვდა ხოლერით: ტულონში 4 და მარსელში 9 კაცი.

ლონდონი. გაზეთს «ტაიმსს» ფურეჟდგან ატყობინებენ ტელეგრამით, ვითომც საფრანგეთს და ჩინეთს მიეღოთ შეერთებული შტატების შუა გაცობა და მედიატორობა.

კონფერენციის გუშინდელს სხდომაზედ საფრანგეთის ელჩს წინადადება მიუცია ეგვიპტის ფინანსთა გაწესიერების შესახებ; მაგრამ გრანვილს არ მიუღია ეს წინადადება და გამოუცხადებია, რომ კონფერენცია გადიდვა განუსაზღვრელ დრომდის; გრენვილმა უარჰყო აგრეთვე მეორე წინადადებაც საფრანგეთის ელჩისა, რომელიც თხოულობდა, რომ კონფერენცია 20 ოქტომბრამდინ გადადებული ყო; სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნიც ამ წინადადების მომხრენი იყვნენ; საფრანგეთის ელჩი ცდილობდა კიდევ ახალი ფინანსური წინადადებანი შეეტანა, მაგრამ გრანვილმა ლაპარაკის ნება არ მისცა და საღამოზედ შეატყობინა საზოგადოებათა პალატას, რომ კონფერენცია კარგად ვერ დაბოლოვდაო.

ივლისის 23.

ლონდონი. გლადსტონმა შეატყობინა საზოგადოებათა პალატას, რომ კონფერენციამ ვერა მოახერხა-რაო. ამისაგამო კერძო მორიგებამაც ინგლისისა და საფრანგეთისამ თავისი ძალა დაჰკარგაო.

პარიჟი. გაზეთის «ტაიმსის» ცნობა იმის შესახებ, რომ ვითომ შეერთებული შტატები ცდილობდენ შუამავლობა გაეწიათ საფრანგეთისა და ჩინეთის შუა, არა მართლდება.

ტულონში მოკვდა ხოლერისაგან 2, მარსელში 18 კაცი.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

ქართული წერის დედანი

ვ. გაბიჩვაძისა.

გამოცემული ქქვთიმე კაციტაძისაგან.

ნაწილი პირველი (მსხვილი ხელი ბადეში). ფასი 12 კაპ. ვინც ათს ეგზემპლიარზე მეტს იყიდის, ეგზემპლიარი ორ-შაურად დაეთმობა. წყობა: თბილისში, ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, გოლოვინსკის პროსპექტზე, ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში. (3—1)

იყვანენ მოსწავლე მცირე წლოვანს ბავშვებს როგორც საცხოვრებლად, აგრეთვე მოსამზადებლად შემდეგს კლასებში გადასასვლელად. მსურველთ შეუძლიანთ მომართონ შემდეგის ადრესით: ანდრიევსკი ქუჩაში, სერებრიაკოვის სახლებში. (3—3)

ახლად გაიხსნა თბილისში

მეხანიკური ქარხანა

სახელწოდებით

„სოფლის მეურნე“

არსენალის აღმართზედ, სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტვოს გვერდზედ, სახლის № 5, თავ. ალექსანდრე იაკობის-ძე ერისთავისა.

ქარხანა მიიღებს ყოველგვარ სამეხანიკო სამუშაოს სხვა-და-სხვა მოწყობილობითურთ, სტალიარისას, სლესარისას და სპილენძის საკავშიროებს, წყლის გასაყვან მილებისას ბოსტნების მოსარწყავად, ფონტანებისას, როგორც ბაღებში ისე ქალაქის სახლებში, ხოლო უფრო სოფლებში. ქარხანა მიიღებს ყოველ გვარ სამუშაოს გზ-თ მიწათ-მომქმედთა და სოფლის მეურნეთა სოფლის მეურნეობისა და საჭიროებათა შესახებსა. ყველა სამუშაო საუკეთესო ოსტატებისაგან იქმნება გაკეთებული თავდებობით რამდენსამე ხანს. მეურნეთა მოთხოვნილებათა-მებრ გაეგზავნებიან დაუყონებლივ ოსტატები შემოკვეთილის სამუშაოს გასაკეთებლად. ყველა ნივთსა და იარაღს, რომელიც არ გამოდგება, ქარხანა უკან მიიღებს და ფულს დაუბრუნებს მსყიდველს, ან სხვაზე შეუცვლის სურვილისამებრ. ქარხანაში არის გასასყიდად ჩვენგან გაკეთებული და გაუმჯობესებული მოწყობილობა (აპარატი) წიწილთ საჩეკად ხელოვნურის წესით, უკრუხოდ. სია აპარატებისა და ჩემ-მიერ მომზადებულის ნივთებისა და აგრეთვე დარიგება წიწილთ-საჩეკის მოხმარებისათვის გაეგზავნება მსურველს მუქთად. ქარხანაში მიიღება აგრეთვე შეკვეთა წყლის წისქვილის გასაკეთებლად. უმორჩილესად ვსთხოვთ ქალაქის გარეშე შემკვეთელთ თავიანთი ადრესი გარკვევით დანიშნონ. ქარხნის კანტორა ღიაა მუდამ დღე 8 საათიდამ 2 საათამდე და 5—8-მდე საღამობით, კვირა, უქმე-დღის გარდა.

ქარხანა მალე მიიღებს საშენებელს იარაღებს, ხოლო მიღებამდე საუკეთესო მაღაზიებიდამ იყიდის და გაუგზავნის თავის მუშტარს.

(10—5)

ვუცხადებ გორის მაზრის საზოგადოებას რომ მე მოვიტანე ქ. გორში ვარშავიდან პოლსაპოშკები სხვა-და-სხვა ნაირი: კაცისა, ქალისა და პატარა ყმაწვილებისა და ვყიდი უწინდელზედ დაშორებით ნაკლებ ფასებად.

(6—4) ივანე ბარამოვი.

ვაჭრობა სადებავებით ბიბილოვისა

ქავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

სადებავები ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

ლაქი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სადებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტივეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტივესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუგვიანებლად.

(70—26)

PAPIER RIGOLLOT

БУМАГА РИГОЛЛО

ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ

ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ

ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ

КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ

Единственное средство, ввоз котораго дозволен въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за НАСТОЯЩУЮ БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись красною краской.

P. Rigollot

Продается во всѣхъ аптекахъ.

ГЛАВНОЕ ДЕПО 24, Avenue Victoria PARIS Въ Парижѣ.

(32—17)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი

მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—47)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სნოტები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

მაზანდა

დორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

ახალქალაქის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. $2^1/_2$

მეორისა — —	1	გ.	2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —	1	გ.	$4^1/_2$
მეორისა — —	1	გ.	3 კ.
მესამისა — —	1	გ.	$2^1/_2$

ჭვავის-ბამი პური:

პირველი ხარის. ლავაში	1	გ.	$4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში	1	გ.	$3^1/_2$
მესამისა — —	1	გ.	3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა —	1	გ.	8 კ.
მეორისა — —	1	გ.	7 კ.
სუკი . . . —	1	გ.	15 კ.
ცხვრის ხორცი —	1	გ.	8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა —	1	გ.	— კ.
მეორისა — —	1	გ.	— კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით სხნჭარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ‡ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით სხნჭარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 23 Іюля 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი, რედ. ი. მაჩაბელი.